ასეთი უმგვანი კილო გალობის მრავალი მცოდნე დადიან სოფლებში და მსურველთა შორის ავრცელებენ ამ უნიადაგო, ყველად მახინჯ გალობას. ასე რომ ერთ სოფელში რომ ერთი ასწავლის და მეორეში მეორე, ესენი ერთი მეორესთან ვერ იგალობებენ. რომ ასეთი არევდარევა არ მოხდეს და ქართული გალობა სრულიად არ ამოიფხვრას, ამისთვის ამ გარემოებას მოვანევინებ თქვენი მეუფების ყურადღებამდის და უმორჩილესად გთხოვთ, კეთილ ინებოთ განკარგულება, რომ თქვენი მეუფებისაგან ვინაც მონმობას არ მიიღებს ქართული გალობის (ცოდნისას, მანემდის ბლალოჩინებმა და მღვდლებმა არ მისცენ ნება თავიანთ რაინებში სოფლად გალობის სწავლებისა არავის

მღვდლი რაფდენ ხუნდაძე

11 ივნისი 1911წელი

ქ.ც.ს.ა. ფ.21, ს.24951, ფ.1

საეკლესიო საგალობლების
ნოტებზე გადაღება და დაბეჭდვა



**იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელის წერილი სამეგრელოს
სასულიერო სასცავლებლის ოლქის სამღვდელოების ყრილობის
თავმჯდომარისადმი უთაისში ქართული საეპლესიო გალობის
აღმდგენელი კომიტეტის დაარსებაზე**

სამეგრელოის სასულიერო სასწავლებლის ოლქის სამღვდე-
ლოების ყრილობის თავსმჯდომარეს

იმერეთის სამღვდელოების უკანასკნელმა (XXI) ყრილობამ,
უურნალითა თვისითა, წარსულის ნოემბრის თექვსმეტის რიცხვითგან
დანიშნა ქართულის საეკლესიო გალობის აღდგინებისათვის კომი-
ტეტი, რომელის წევრებადაც აღმორჩეულ იქმნენ და ჩემდგან დამ-
ტკიცებულ ბლალოჩინნი, მღვდელის: დავით ღამბაშიძე, მიხაილ
მჭედლიძე, ერმალოზ ვეფხვაძე და მღვდელი სამსონ შენგელია,
ნიკოლოზ ხუციევი, ანტონ ბალანჩივაძე და იაკობ მაჭავარიანი, რო-
მელთაც მიენდო ზრუნვა და ყოველს გვარის ზომების მიღება გალო-
ბის აღდგინებისა და ნოტებზედ გადალებისათვის, გაცნობებ ამას და
მოგინერ რომ მისცე წინადადება სამეგროლოის სამღვდელოების
დეპუტატებს რათა მათაც თავიანთის მხრით აღმოიჩიონ როი ანუ
სამი პირი ხსენებულის კომიტეტის წევრებად, რომ იმერეთის სამ-
ღვდელოებასთან ერთად სამეგრელოის სამღვდელოებამაც მიიღოს
ამ დიდ საქმეში ყოველ გვარი მონაწილეობა

№4771, 7 დეკემბერი, 1884 წ.

ქ.ც.ს.ა. ფ.21, ს.16566, ფ.57.

**იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელის ცირკულიარი ეპარქიის
ბლალოჩინებისადმი ქართული საეპლესიო გალობის
აღმდგენელი კომიტეტისათვის თანხის შეპრეზაზე**

კომიტეტი აღდგინებისათვის ქართულის საეკლესიო გალობისა
უურნალითა თვისითა, წასრულის იანვრის 30-ის რიცხვიდგან №1,

მმთხოვს რათა გავსწერო თვითოულს ეკალესიასა და მონასტერ-ზედ ხუთ-ხუთ მანეთი ქართული საეკლესიო გალობის ნოტებზედ გა-დაღების სასარგებლოდ კომიტეტმა კიდეც შეუკრა კანტრაკტი გა-მოჩენილს მგალობელს და არტისტს ბატ. ფილიმონ ქორიძეს, რო-მელსაც ოთხასი ნომრის გადაღებისათვის ნოტებზედ, უნდა მიეცეს სასყიდელი ორი ათას ოთხასი მანეთი (2400 მანეთი) ამიტომ მოგი-ნერ: 1, რომ, იმ ეკალესიების ფულებიდგან, რომელსაც ახლა აქვსთ თვალად არა ნაკლებ ოცდაათის მანეთისა (30 მანეთი), წარმომიდგი-ნეთ ხუთ-ხუთი მანეთი, ხოლო რომელ ეკალესის ამდენი ფული არა აქვს, იმის ფულებიდგან გამოგზავნეთ სამ-სამი მანეთი დანარჩენი ორი მანეთი კი შეავსეთ მდიდარი ეკალესიებიდგან. ფული კი წარ-მომიდგინეთ სიით, რომელშიაც ალნიშნულნი უნდა იქმნეს, თუ რომ-ლის ეკალესიდგან რაოდენი ფული წარმოიდგინება თვით ფული გასწერეთ თავდაპირველად ეკალესის შესავალ-გასავლის წიგნში, 2, რომ იხმაროთ ყოველი ღონისძიება და თქვენი გავლენა შეკ-რებისათვის კეთილმნებლობითის შენირულობისა ამავე საგნის სა-სარგებლოდ და შემოწირულობანი შთანერეთ წიგნაკში რომელიც ამასთანავე გადმოგეცემათ და ფული შეკრებილი წარმომიდგინეთ, ხოლმე და სემდეგ თვით წიგნაკიც წარმომიდგინეთ როცა გათავდეს, შესამოწმებლად წარმოდგენილი ფული წასწერეთ ხოლმე იმავე წიგ-ნაკში და მიაკერეთ კვიტანცია მიღებისათვის განერილის ფულისა.

გაბრიელ ეპ.იმ.

№1156

28 თებერვლის 1885 წლის.

ქ.ც.ს.ა. ფ.21, ს.16773, ფ.29

**იმართის ეპისკოპოს გაბრიელის წერილი პლატონი
თ. ასათიანისადმი საეკლესიო გალოგის აღსადგენად თანხის
ცარმოდგენაზე**

პლატონის ასათიანს

უფიცხელესად მოგიწერ სიჩქარით, არა უგვიანეს ერთი კვირისა, წარმომიდგინოთ ფული ეკკლესიებითაგან, საეკლესიო გალობის აღ-
სადგინებლად, თანახმად ცირკულიარისა ჩემისა, წარსულის 28
თებერვლიდგან ამა წლისა, ვინც დააგვიანებს დაიშტრაფება.

გაბრიელ ეპ. იმ.

№1765

10 აპრილის 1885წ.

ძ.ც.ს.ა. ვ.21, ს.16773, ვ.3

**დერჩის ოლქის პლატონის თ. ასათიანის პატაპი გაბრიელ
ეპისკოპოსისადმი ძართული საეკლესიო გალოგის აღსადგენად
60 მანეთის გაგზავნაზე**

რაპორტი

მოწერილობისა გამო თქვენის ყ-დ უსამღვდელოესობის 28
თებერვლიდამ ამა 1885 წლის №1156-თა მაქვს პატივი ამასთანავე
წარმოგიდგინოთ სამოცისა მანეთისა (60მ), ქართული საეკლესიო გა-
ლობის ნოტებზედ გადაღების სასარგებლოდ ერთად სიითა მასზედ
თუ რაოდენი წარმოიდგინების ეკკლესიიდამ დერჩის ოკრულის
საბლადოჩინოებისამებრ.

№96

2 ივნისი 1885წ.

ძ.ც.ს.ა. ვ.21, ს.16773, ვ.3

იმართის ეპისკოპოს გაბრიელის განვითარებითი წერილი
ბლაღოჩინ თ. ასათიანისადმი საეკლესიო გალობის
აღსადგენად თანხის წარმოდგენაზე

ბლაღოჩინს, მღ. თ. ასათიანს

მოგინერ თქვენ დაუყონებლივ და არა უგვიანეს ერთი კვირისა
ნარმოადგინოთ / თუ ჯერეთ არ ნარმოგიდგენიათ / ფულები ეკალე-
სიებთაგან კეთილმნებელთა შენაწირი აღსადგენელად ქართული სა-
ეკლესიო გალობისა

გაბრიელ ეპ. იმ.

№4229 1 სექტემბერი 1885წელს

ქ.ც.ა. ფ.21, ს.16773, ფ.4

დერჩის ოჭავის იმ ეპატესიების სია (თანხის ჩვენებით),
რომებმაც თანხა შეცირეს ქართული საეკლესიო გალობის
აღდგენას (1885 წ.)

სია მასზედ, თუ რომლის ეკლესიდამ დერჩის ოკრულის საბლა-
ლოჩინოსა რაოდენი მანეთი ნარდგენილ არს ქართული საეკალე-
სიო გალობის აღდგინებისათვის

1. დერჩის მაცხოვრის ეკალესიისა ხუთი მანეთი
2. დღნორისის წმ-ის გიორგის ეკალესიისა ექვსი მანეთი
3. ჭაშლეთის მაცხოვრის ეკალესიისა ხუთი მანეთი
4. საჩხეურის მაცხოვრის ეკალესიისა სამი მანეთი
5. ზოგიშის მაცხოვრის ეკალესიისა ექვსი მანეთი
6. ალპანის წმ-ის გიორგის ეკალესიისა სამი მანეთი
7. საირმის წმ-ის გიორგის ეკალესიისა ექვსი მანეთი
8. ღვირიშის მაცხოვრის ეკალესიისა სამი მანეთი
9. სანორჩის ღვთისმმობლის ეკალესიისა სამი მანეთი
10. ნაკურალეშის წმ-ის გიორგის ეკალესიისა ექვსი მანეთი

11. ცხუკუშერის მთავარანგელოზის ეკკლესიისა შვიდი მანეთი
 12. ტვიშის წმ-ის გიორგის ეკკლესიისა ხუთი მანეთი
 13. მექვენის მთავარანგელოზის ეკლესიისა სამი მანეთი
 14. ორხვის წმ-ის გიორგის ეკლესიისა სამი მანეთი
ბლალოჩინის თან. აღ. მღვდ.თ.ასათიანი
- ქ.ც.ს.ა. ფ.21, ს.16773, ფ.1

იმ საგალოგელთა სია, რომელიც მღვდელმა ი. წარეთელგა სხვადასხვა დროს მიიღო იმერეთის ეპარქიის კანცელარიიდან მ. შარაძისათვის გადასაცემად

სია იმ გალობათა რომელნიც არიან გადალებული ნოტებზედ ფილიმონ ქორიძისაგან და რომელიც ჩავაბარე გადასაცემად მაქსიმე შარაძისა 30 სეკუტემბერს 1894წ.

ეს საგალობლები არის მოთავსებული ექვს რვეულშიდ რომელ-ნიც ცალცალკე არი დანომრილი და შნურკ გაყრილი

11 რვეულში არის ოქროპირის სამღვლელმთავრო წირვის წესი. სულ ორმოცდაჩვიდმეტი ნომერი.

ეს რვეული შედგება 75 გვერდისაგან.

II რვეული

1 აღდგომასა შენსა ქრისტე მაცხოვარ, 2 ქრისტე აღსდგა მკვდრე-თით სიკვდილითა სიკვდილისა. 3. ძელო ცხოვრების მიმნიჭებელო. 4 აღდგომისა დღე არს. 5 განვიწმინდენობელნი. 6 ცანი ყ-დ ღირ-სებით. 7 მოვედით და სასმელი ახალი. 8 ან ყოვლითურთ აღისა ნათლითა. 9 გუშინ შენთანა ჯვარს ვეცმოდი ქრისტე 10...თოსა სახმი-ლავსა ზედა. 11 ულმობელად განძლებულ 12 ვითარ ტარიგი უბინო. 13. წინაშე აჩრდილებრივ სულ 13 და გვერდი 35.

მესამე რვეული

1 ... 2... 3... 4 შთახედ შენ ქვესკნელთა ქვეშე. 5 დაიცვენ ბეჭედნი აღუტებელად ქრისტე. 6 მაცხოვარ ცხოველი და დაუკვლელი შსხვერ- 151

პლი. 7 და აღსდგა რა იქსო საფლავით. 8 რომელმან ყრმანი იხსნა სახმილისაგან. 9 დედანი ღვთივ განგძრნობილნი შემდგომად. 10 სიკ-ვდილითა სიკვდილისა შემუსვრასა. 11 ვითარ ჭემარიტ წმიდა და ყოვდ. 12 ესე არს წმიდა დაჩინებულ დღეს. 13,მოვედით ვეზიარნეთ. 14 აღვიხილენ თვალნი მიმეგოს. 15 მამაო ყოვლისამპყრობელო. 16 ადიდებს სული ჩემი სამისა დღისა. 17 ანგელოზი ღალადებს 18 გა-ნათლდი,განათლდი. 19 ჰო საღმრთო. 20 ჰო პასექო დიდო და დი-დებულო 21 ხორცითა მიიძინე 22 აღსდეგი ღმერთი და განიბნინენ .23 პასექი ბრწყინვალედ შვენიერი.24ვითარცა მოაკლდენ კვამლსა. 25 ხილვით მოვედით. 26 ესრეთ წარწყმდენ ცოდვილნი. 27 მენელ-საცხებელი დედანი 28 ესე არს დღე რომელ ქმნა უფალმან.29 პასექი სანადველი წმინდა 39 დიდება მამასა და წმიდასა სულსა. 31აღდგო-მისა დღე არს.32 და ჩვენ მოგვანიჭა ცხოვრება საუკუნო. 33 მეოხებითა ხვთის მშობელისათა.34 გვაცხოვნენ ჩვენ ძეო მღვთისაო აღდგომი-ლო მკვდრეთით 35 ეკელესისასა შინა აკურთხევდით ღმერთსა,36 რა-ოდენითა ქრისტეს მიერ ... 37წარდგომა.ესე არს დღე რომელ ქმნა უფალმან 38 ... 39 უფალო ღალადყყავ. 40 უფალი... ახალ კვირის. 41... 42... 43 დაბეჭდული საფლავთ. 44. სახელითა უფლისათა გვა-კურთხენ მეუფეო ამინ. 45 ღმერთი უფალი და გამოგვიჩნდა ჩვენ.46 გადიდებთ შენ ცხოვრების მომცემელო ქრისტე. 47 დიდება მამასა და ძესა. 48 ყოველი სული აქებდით უფალსა. 49 წმიდა არს უფალი ღმერთი ჩვენი. 50 დაამტკიცე ღმერთო და განაძლიერე. 51 დიდ არს უფალი ჩვენი დიდ არს ძალი მისი. 52 ამაღლდი დიდებით ქრისტე ღმერთო. 53 დიდება შენდა ღმერთო ჩვენო დიდება შენდა. 54 სიყ-რმით ჩემითვან... 55 რომელთა გძულსთ სიონი 56 დიდება მამასა და ძესა სულის მიერ წმიდისა 57 გადიდებთ შენ ცხოვრების მომცემე-ლო ქრისტე 58 ამაღლდა ღმერთი ღალადებითა. 59 ჩვენსა ღმერთსა 60 ძალითა ჯვარისათა ქრისტე 61 ... მესმა მე ძლიერისა ჯვარისა. 62 აღმსთობილნი შენ გმაღლობთ. 63 გარე მომიცვეს მე ღელვათა 64 რომელმან... 65 მამისაგან შობილისა.66 ადიდებს სული ჩემი 67 შევ

ქალწულო. 68 ამაღლდა ღმერთი ღალადებს სულის ნმიდის მოსვლა-
სა 69 მეუფეო ზეცათაო. 70 კურთხეულ ხარ შენ ქრისტე ღმერთო
ჩვენო 71 გადიდებთ შენ. 72 სული შენი მიძღოდეს მე 73 ამაღლდი
უფალო ძალითა შენითა 74 მოციქულთა რა იხილეს 75 გიხაროდენ
მიმაღლებულო უფალო. 76 შობამან შენმან 77... 78... 79 უგალობდეთ
უფალსა რომელმან წარუმართა. 80 განმაძლიერე მოსავნი.81 მესმა
უფალო განგება. 82 დამხსნელი ბნელისა მის. 83 ღვთისა მიმართ ვლა-
ლადებთ 84 მაყალი მოტყინარე. 85 სახმილსა მას შინა ყრმათასა.86
ადიდებს სული ჩემი ყ-დ დიდებულსა. 87 რომელმან შევ მთიები .88
აცხოვნე უფალო ერი შენი. 89 გადიდებთ შენ ცხოვრებისა მომცემე-
ლო.90 იხილეს ყოველთა კიდეთა ქვეყანისათა.91 ადიდებს სული ჩე-
მი ყ-დ პატიოსანსა.92 საიდუმლო სამოთხე ხარ. 93 ნმიდაო ღმერთო
ჯვარის ამაღლების 94 კირიელეისონ. 95 ალამაღლებდით უფალსა
ღმერთსა ჩვენსა.96 ჯვარსა შენსა თაყვანის ვსცემთ 97 დღეს გან-
გებულებისა.98 გადიდებთ ყ-დ ნმიდის ქალწულო. 99 ანგელოზთა რა
იხილეს.100 შობამან შენმან. მესამე რვეულშიდ არის 100 ნომერი და
268 გვერდი

მეოთხე რვეული

№1 წინასწარმეტყველო და წინამორბედო ქრისტეს მოსვლისაო.
2 გადიდებთ შენ. 3 მოციქულთა თავნო და ყოვლისა 4 გადიდებთ შენ
ყ-დ ქებულნო 5 მთასა ზედა ფერი იცვალე 6 გადიდებთ შენ 7 თაბორი
და ერმონი სახელითა შენითა იხარებდენ. 8 ქვეყანა... 9 შშვილდი ძლი-
ერთა მოუძლურდა. 10 შენ დამამყარებელო... 11 მესმა სმენა შენი
დიდებული. 12 გვამით შენით 13 რომელმან ... 14 ნურადა განმიშო-
რებ 15 ... ჩემსა - ყრმათა.16,17,18. 19 ყრმანი ებრაელნი 20 ბაბილონს
ყრმანი 21 შვიდნილ აღავზნა 22 ადიდე სულო ჩემო. 23 შობა შენი
უხრწნელ არს 24 შეძრწნუნდეს დაბადებულნი.25 უფალო მოგვივლი-
ნე ნათელი ჭეშმარიტებისა 26 შობასა ქალწულება დაიმარხე. 27 გა-
დიდებთ შენ ყ-დ ნმიდაო დედაო 28 წარდგომა სახარებისა და სამო-
ციქულოსი 29 პირად პირადად 30 ყოვლისა მპყრობელი 31 იგავმან

წინასწარმეტყველთამან 32 განზრახვა საიდუმლო 33 ბრწყინვალედ ... 34 განცვიფრდეს ყოველნივე 35 ცუდ იქმნა სიმხურვალე 36საღ-მრთოსა ამას დღესასწაულსა. 37 ალი შემაცვრეველი 38 ყრმანი ბრწყინვალენი 39 ანგელოზთა მიცვალება 40 ასე იქმნეს. 41 ყოველ-ნი ტომნი. 42 ხსენება მართლისა . 43 გადიდებთ შენ. 44 დიდი მარხვის პირველი კვირა. ალილუია. 45 საცნაურთა შენთა მსახურთასა 46 დი-დება მამასა . 47 ვითარცა ან წესნი 48 დაუსაპამოსა შენსა 49 გალობა შეისმინე. 50 დიდება მამასა 51 რამე სახელ გდვათ 52უფალო რო-მელმან ყ-დ წმიდა 53 გული წმიდა დაბადე 54 ღვთისმშობელო ქალ-ნულო 55 რომელმან მეექვსესა 56 ყურად იღე ღმერთო 57 დიდება მამასა 58 რამეთუ არა მაქვს ჩვენიერება

ეს მეოთხე რვეული შედგება 58 ნომრის საგალობელისა და 198 გვერდისაგან

მეხუთე რვეული

№1 რომელმან მეცხრესა. 2 მიგეახლენ ლოცვა ჩემი 3 მამასა და ძესა 4... 5... 6 ნათლის მცემელო ქრისტესო 7 მეოს გვეყვენით 8 მოწ-ყალებასა შენსა მოვილტვით 9 შემწე და მხსნელი 10 მიწყალე მე ღმერთო 11 მოიხილე ცაო 12 იხილეთ იხილეთ 13 შეურყეველსა 14 დაამტკიცე 15 ესმა წინასწარ მეტყველსა 16 ღამითგან ვიმსთოთ 17 ღალად ვყავ მე 18 სულო ჩემო სულო ჩემო 19 ვსცოდეთ და უსჯულო ვიქმენით 20 რომელსა ძალნი ცათანი 21 უთესლოდ მიდგომილთ შობას. 22 ღირსო დედაო მარიამ 23 ჩვენთან არს ღმერთი 24 დიდ არიან სარწმუნოებასა 25 ზესთა მბრძოლისა26 გიხაროდენ სძალოო უსძლოო 27 მხმობელი ესრეთ ალილუია 28—ბზობის დღეს საღმთო-მან მადლმან 29. ყოველთა აღდგომასა 30 დაფლულნი შენთანა 31 გადიდებთ შენ 32 პირითა ყრმათა ჩჩვილთა 33 მოციქულთა რა იხილეს 34 ღმერთი უფალი 35 მოვედით თაყვანის ვსცეთ მაგიერ კურთხეულ არს მომავალი 36 ვნების კვირასი აპა ესერა სიძე მოვალს, 37 სასძლოსა შენსა ვხედავ 38 რაჟამს დიდებულნი 39 შვენიერმან იოსებ ძელისა-

გან 40 მენელსაცხებელთა დედათა 41 რაჟამს ოორდანეს მთაზედ 42 ტროპარნი რაჟამს ლოდი იგი დაბეჭდ. 43 გაბრიელ გიღაღადებთ. 44 ყოველივე საიდუმლო 45 იხარებდინ ცანი 46 შენ... რომელსა 47 ბრწყინალე იგი აღდგომისა 48 რომელი საუკუნე... 49 თანა დაუსაბამოსა 50 გიხაროდენ ბჭეო 51 ... 52 ... 53... 54 ვითარცა ჩვენისა აღდგომისა. 55 მალლით გარდამოხედ 56 ვითარცა ზენასა 57 ზღვასა მენამულსა 58 იხარებს ეკვლესია 59 იხილირა ეკვლესიამან 60 შენ უფალო 61 ვინ არს ესე მეუფე დიდებისა 62 იყავნ უფალო წყალობა შენი 63 ძალ ჩემდა და საგალობელ ჩემდა 64 უგალობდეთ ღმერთსა ჩვენსა უგალობდეთ 65 ვითარ განდიდნენ საქმენი შენი 66 შენ უფალო მიცვენ და დამიმარხენ. ამ მეხუთე რვეულშიდ არის 66 საგალობელი რომელიც შესდგება 183 გვერდისაგან

6 რვეული

ამ მეექვსე რვეულშიდ არის სამოცდათერთმეტი ნომერი ოქროპირის წირვის წესების საგალობელი, რომელშიც არის გადაღებული ფ. ქორიძისაგან ნაკაშიძის და კონტრიძის გადმოცემით. ეს საგალობელი ქორიძემ უფასოდ შემოსწირა ჩვენს სამლელოებას და 127 ...

1894 წელსა 30 სეკდემბერს მივიღე მე ივლიანე წერეთელმან იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის გადაწყვეტილებით გარდასაცემად მაქსიმე შარაძისა, ამ სიაშიდ მოხსენებული საგალობელი ექვს რვეულად, შნუროკ გაყრილი, დაბეჭდილი და კანცელარიის მიერ შემოწმებული სულ რიცხვით ოთხასორმოცდა თოთხმეტი საგალობელი და რვაას ოთხმოცდაექვსი გვერდი (886გვ) გარდაამისა სამოცდა თერთმეტი ოქროპირის წირვის ... ნებული ორას ოთხმოცდდა თოთხმეტი საგალობელი არის გადაღებული ქ. ქუთაისშიდ ქორიძის მიერ გადმოცემული მგალობლების დ. ჭალაგანიძის, რ. ხუნდაძის და ივლიანე წერეთლისაგან. რასა შინა ხელს ვაწერ იპოდიაკონი ივლიანე წერეთელი.

1895 წელი იანვარი 11 დღე

რვეული მეშვიდე. შობის საგალობლები:

1. გადიდებთ შენ ცხოვრების მომცემელო 2 საშოთ მთიებისა 3, ქრისტეს შობასა, 4, სასწაულითა იხსნა ერი უფალმან, 5, წინა საუკუნეთა, ხლმერთო მოხედებ, 7, კვერთხი იქსეს ძირისაგან, 8, პირველ აუწყა, 9, ღმერთი მშვიდობისა, 10, საცოტოთა ბნელთა, 11, პირველ იონა, 12, შთახვედ იონა, 13, ქალწული დღეს არსება, 14, ყრმანი სარწმუნოებით, 15, სიყვარულით ყოველთა მხსნელისათა, 16 სახმილი შეცვარეული, 17, ყრმანი ბაბილონი, 18, ადიდე სულო ჩემო, 19, საიდუმლო 20, ჯერს არს დუმილი, 21, საშოთ ღვთისმშობლისა, 22, ყოველსა ქვეყანასა 23, რომელი საყდართა 24 გადიდებთ შენ, 25, რაჟამს იორდანეს, 26 გადიდებთ შენ 27 ზღვამან იხილა 28 განათლდი... 29 ზღვისა ღელვათა, 30 რომელმან მოსცა ძლევა, 31 განხსნილნი... 32 სმენა მესმა, 33 საქმენი შენი, 34 იქსო მთავარი, 35 განვი... 36 ხმა სიტყვისა, 37 წინასწარმეტყველმან, 38 ყრმანი წმიდა—39 მან პირველ ალისახმილისა, 40 საიდუმლო დიდებული, 41 დაბადებულნი, 42 სულო ჩემო, 43 ვერ შევძლებილ ვართ 44 უზესთაეს არს, 45 გიხართდენ მიმადლებულო 46 გადიდებთ შენ ცხოვრების მომცემელო, 47, მოვიხსენო სახელი, 48... მი ქვეყანა 49 მოსავთა შენთა 50 ქრისტე ღმერთო 51 ჩვენებრ ... 52 ხმა ვყავ შენდამი, 53 ღვთისა სიტყვასა 54 მონებათ მღვთისა 55 ... რილთა მიერ, 57 აჩვენა უფალმან, 58 დღეს ცხოვრები... წინასწარმეტყველი 59... 60... 61... 62... 63... 64... 65... 66 ეტყოდა გაბრიელ მღვთის მშობელსა, 67 აუწყებდით ქვეყანა 68 კიდობანსა მას სჯულისასა 69 ტყვეთა განმანთავისუფლებელო, 70 განაგდებთ შენ, 71 მართალი ვითარცა ფინიკი აღყვავდეს. ამ მეშვიდე რვეულშიდ მოთავსებული საგალობლები სამოცდა თერთმეტი ნომერი შობის დღესასწაულიდამ დაწყებული სხვადასხვა საგალობლები მივიღე ეპარხიალური კანცელარიისაგან გადასაცემად მაქსიმე შარაძისა 1895 წელ 11 იანვარს ივლიანე იოსების ძე წერეთელი.

რვეული მერვე 1 სულთათანა აღსრულებულსა, 2 უფალო შეგვიწყალენ, 3 მოგვმადლენ უფალო, 4 უპატიოსნესა ქერუბიმთასა 5 დიდება მამასა და ძესა 6, საუკუნოდ იყავნ ხსენება, 7 საუკუნოდ იყავნ ხსენება, 8 კურთხეულ ხარ შენ, 9 შეინყალენ მონა ქსე შენი 10 სახელითა შენისათვის 11 კურთხეულ ხარ შენ უფალო 12 დიდება მამასა 13 მოკვეთილი... 14 სამებაო წმიდაო, 15 რაჟამს წინასწარმეტ. 16 ბნელისაგან ცოდვითასა 17 მუცლად იღო 18 წმიდათა თანა 19 ჰო სასწაული, 20 სარეცელი განცვრითებული 21 შენ მხოლოდ სანატრ, 22 დიდება შენდა უფალო 23 ისპოლა, 24 უფალო შეგვიწყალენ, 25 წმიდაო ღმერთო 26 ზღვა მენამული, 27 განუსვენე უფალო, 28 სერობასა მას 29 სდუმნინ ყოველი, 30 ღირს არს და მართალ. 31 შენდამი იხარებს მიმადლებულო 32 ყოველთა და ყოვლისათვის **ლიტურლია პირველ შეწირულისა** 33 ნათელი მხიარული 34 ნარემართე ლოცვა 35 ან ზალნი ცათანი 36 ვაკურთხო უფალი 37 წმინდანო მონამენო 38 დიდება შენდა 39 ისაია მხიარულ იყავ, 40 კირიელისონ 41 კირიელისონ 42 აქ სიას, გარდა ამ 42 საგალობელისა კიდევ არის გადაღებული ჩვენგნით საგალობელი ხელმეორეთ უფრო კარგად შემუშავებული რომელთა სიას აქვე მოვიყვან.

მეცხრე რვეული 1ღირს არს ჭეშმარიტად, 2 მოვედით თაყვანის ვცეთ. 3 წმიდაო ღმერთო, 4 რომელი ქერუბიმთა, 5 დავითარცა მეუფისა ყოველთასა ხლირს არს ჭეშმარიტად. ამ მერვე და მეცხრე რვეულშიდ მოთავსებული საგალობლები რიცხვით ორმოცდარვა საგალობლები შნურიკვაყრილი და დანომრილი ჩავიბარე კანცელარიისაგან გადასაცემად შარაძისა ივლიანე წერეთელმა

ქ.ც.ს.ა. ფ.21, ს.19428, ფ.4,5,6

**ა. შარაძის მწოდებ გაპრიცე ეპისკოპოსისადმი იმიტოს
სამღვდელოების მიერ ნოტიზი გადაღებული ქართული
საეკლესიო გაყობის დაგეზდვის ნიშანთვაზე გაპრიცე
ეპისკოპოსის რეზოლუციით**

1894г 23 июля . Разрешаю напечатать церковные песнопения составленные г. Коридзе по напеву Гурийско-имеретинскому но без требования за это от кого-либо особенно у церкви/вознаграждения/ а ноты поручить Ивлиану Церетели

Его преосвященству епископу Имеретинскому
Гавриилу
содержателя типографии в Тифлисе крестьянина
Озургетского уезда Максима Ростомовича Шарадзе
прощение

Ваше преосвященство! Семь лет прошло с тех пор, как церковное грузинское пение переложено на ноты Имеретинским духовенством в Кутаисе, к несчастию, до сих пор не напечатано, как я слышал по неимению у духовенства средств, а потребность к таковому пению у нас сильно чувствуется. В виду того чтобы ценный и громадный труд етот не сделался случайной жертвой пламени или пропасть каким-нибудь образом, всепокорнейше прошу Ваше преосвященство, разрешить мне напечатать оное на мои собственные средства и тем самым застраховать оное от всякой случайности. При этом всепокорнейше прошу Ваше преосвященство следующее ... благоволите сделать надлежашее предписание о выписке для каждой церкви, вверенной Вашему преосвященству епархии по одному экземпляру описанного издания. Подачу сего прошения и личного объяснения по сему делу доверяю Юлиану Иосифову сыну Церетели

Содержатель типографии Максим Ростомович Шарадзе
30 июня 1894 года
в г Тифлисе
д.б.з. №21, л.19428, №1

იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელის მიერ ა. შარაპისაძეი
გაცემული მოხარე ვ. ქორიძის მიერ ნოტები გადაღებული
იმერულ-გურული საკლესიო გალობის ფაზე ვის ნიშანთვაზე

СВИДЕТЕЛЬСТВО

Дано сие от меня содержателю в городе Тифлисе типографии
Максиму Ростомову Шарадзе, согласно его прошению, в том, что ему
мною дозволяется отпечатать на его Шарадзе средства церковные пес-
но-пения по Имеретино-Гурийскому напеву, переложенные на ноты
Филимоном Коридзе установленным порядком с тем, чтобы никаких
вознаграждений за это он, Шарадзе не требовал, ни от духовного ве-
домства, ни от приходских церквей и монастырей, в чем подписью
мою и приложением казенной печати свидельствую.

Документ сей оплачен надлежащим гербовым сбором

г Кутаис-26 июля 1894 года

ქ.მ.ბ.ა. №21, ს.19428, ვ.2

იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის ნიშანი საკათედრო
ფარის გუნდის რეგენტ ა. ბენაევისაძე (ბენაევილი)
ძართული საკლესიო გალობის მასალების დაბრუნებაზე

Регенту Андрею Бенаеву

9 сентября 1894г №2294

Предписываю Вам немедленно представить в мою канцелярию все
без исключения ноты по грузинскому церковному пению которые мною
были переданы Вам

То же самое свящ Алекс Георгадзе №2295

ქ.მ.ბ.ა. №21, ს.19428, ვ.3



ქართული გალობა

ღითხისი

იოანე ოქროპირისა, მღვლილისა და მღვლელ-მთავრისათვესი

გადაღებული

ფაზლაშვილი ა. ქართველის მაგრ

გადაღებული ა. დუმაშვილი, დამიტრი რ. ჭალავაძისა, შავარი-გავარის რაჭენ
ო. ზერწაძისა და ეგლიძე ი. წიგრილისა, რამენიძე საკოლეგიანი გამოცემულია შემ
კიტებული გ. ჩახშემა და ე. წიგრიძე კ. კანტრისიძისამ.

გამოცემა შ. ჭარაძის ტ. მშრალიძისა, ვ. გმირიძისა და ს. ლისაბერიძისა).

ნარტატივი № 1.

ტბილისი, 1895 წ.

სტანდა ვ. შარავაძე ა. წიგრიძე, ქართველი, № 21.

თიპოგრაფია მ. შარავაძე და კ. ი. ნიკოლა, № 21.

ქართული საეკლესიო გალობა
იმერეთში 1917-1920 წლებში



**ქუთაისის საკათედრო ტაძრის პრეზულის პრეზის
დადგენილება მგალობლების: პ. კუხიანიძის, ო. ჭიათვილისა და
ა. ლოსაპერიძისათვის ხელფასის მომატებაზე**

1917 წელს მაისის 27-სა დღესა. ქუთაისის საკათედრო სობორის კრებულმა ვიქონიეთ მსჯელობა იმ (112 მან.33კ) ას თორმეტი მანე-თის და 33კპ. შესახებ, რომელსაც დღემდის ღებულობდა მღვდელ-მთავრის მგალობელთა გუნდი. დღეს რადგანაც ეს მგალობელთა გუნ-დი განთავისუფლებული იქმნა თავის მოვალეობისაგან მღვდელ-მთავრის განწესებამდის ეს ფულიც თავისუფალია და არავითარი და-ნიშნულება მას არ აქვს. რადგანაც სობოროს უმცროსი კრებული მცი-რე ჯამაგირს ღებულობს და არსაიდან არავითარი შემწეობა არ სჩანს და აუტანელი სიძვირის გამო დიდ ქონებრივ ტანჯვას განიცდის ამი-ტომ დავადგინეთ: რაც ამ ას თორმეტ მანეთ და 33კპ., რომლისაგან იმერეთის სამღვდელოების აღმასრულებელი კომიტეტის დადგენი-ლებით მოემატა მგალობლებს: დიაკ. ბართლომე კუხიანიძეს, დიაკ. ონოფ.ჭიპაშვილს და მედავითნეს ამბროსი ლოსაბერიძეს სამოცდა ცხრა მანეთი, აღმატება, ესე იგი ორმოცდასამი მანეთი, განაწილ-დეს თანასწორათ დიაკ. ისიდორე სვანაძეს, მედავითნეებს იოსებ ლორთქიფანიძეს და გერასიმე მოსიაშვილს. ხოლო ხსენებულმა მგა-ლობლებმა, გარდა შაბათ-კვირის დღესასწაულ დღეებისა იგალობონ სობოროშიდ წირვაზედ სამშაბათობით ხეთშაბათობით და შაბათობით, როგორც ეს იყო წინეთ. რასა შინა ხელს ვაწერთ: დეკ. ი.ჭეიშვილი, დეკ.ვ.დოლაბერიძე, მღ. ამბროსი ფოფხაძე, მღ.იერო-თეოზ ნიკოლაძე, დიაკონი ი.სვანაძე, დიაკონი ბ.კუხიანიძე, მედა-ვითნე დიაკონი გ.მოსიაშვილი, დიაკონი ბ. შავიანიძე, მედავითნე ამბროსი ლოსაბერიძე.

პირი ესე ნამდვილისა თანა სწორ არს დეკ. ი. ჭეიშვილი
ე.ც.ს.ა. ფ.21, ს.26525, ფ.2

პ. კუსიანიძის მონოგრაფია

ესე მიეცა დიაკონს ქუთაისის საკრებულო ტაძრისას ბართლომე კუხიანიძეს, თანახმათ მისი თხოვნისა, წარსადგენად სამიწათ-მოქმედო სამინისტროში, მას შინა, რომ ის, კუხიანიძე მსახურებს დიაკონად ზემოაღნიშნულ ტაძარში და აგრეთვე გალობის მასწავლებლად ქუთაისის საბალოსნო სკოლაში და სხვა მთავრობის დაწესებულობებში ის არ მსახურებს და რომ მას დიაკონის სამსახურისათვის ომისგან გამოწვეული სიძვირის გამო, დამატებითი სამხედრო შემწეობა არ მიუღია.

12 ენკენისთვე, 1918 წ.

ქ.ც.ს.ა. ფ.21, ს.27246 ფ.75

**რ. ხუდაპის მოსსესხა მისამართობის ანტონ ქუთათელისადმი
საეკლესიო გალობის გაუმჯობესების აუცილებლობაზე ანტონ
ქუთათელის რაზოლუციით**

1917წ. 17 ოქტ. ეთხოვოს მ.ხუნდაძეს დააარსოს გუნდი გალობის
მოყვარეთა. იმერ. მიტრ. ანტონ ქუთათელი

მისს მაღალყოვლადუსამლელოესობას

ქუთათელ მიტროპოლიტს ანტონის

მლევლის რაჟდენ ხუნდაძისაგან

მოხსენება

ქართველთა საბედნიეროთ და სასიქადულოთ, ასჩვიდმეტი წლის
დახურული კარები ჩვენი მშობლიური ეკლესიისა გაიღო და ჩვენს
გულს სიამოვნებას ფენს, ის, რომ აღსდგა სახელი კათალიკოსობისა
სრულიად საქართველოსთვის. აღსდგა იმერეთში ასჩვიდმეტი წლის
დამხობილი და დამახინჯებული კათედრა ჩვენი ქუთათელ მიტრო-
პოლიტისა; ამ სიხარულს აორკეცებს ის, რომ თქვენ მეუფეო, შვილი
თვით იმერეთისა აღზრდილი თვითვე საქუთათლოში, გულდამწვა-

რი ჩვენს ნარსულზე, მონატრული ჩვენი ეკლესის და ერის ბედნიერებისა, უზენაესი ღვთის ნებით დანიშნულ იქმენ ქუთათელ მიტროპოლიტის ადგილზე.

ცხადია, რომ დაკარგულ უფლების აღდგენასთან ერთად ამასთანავე უნდა აღდგენილ იქმნას ყოველგვარი ჩვენი ეკლესიური წესი წირვა-ლოცვისა, როგორც საღვთო წერილის კითხვის კილომიმოხვრა, აგრეთვე დიდი და განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გალობის შესწავლას და გავრცელებას, ისე როგორც ეს იყო ჩვენი ბედნიერი დროის, მიტროპოლიტების დროს. ვიმეორებ, სიხარულს უორკეცებს ჩვენს საზოგადოებას თქვენი მეუფების ქუთათელ მიტროპოლიტაც დანიშნა, მით უმეტეს, რომ თქვენი მეუფება არის მოყვარული და მცოდნე გალობისა, მასთან ძლიერი სურვილის მექონე გალობის შამობრუნებისა, იმ წესით, როგორი წესითაც იყო იგი, სანემ ჩვენი ეკლესის ყოველგვარი წესები გადამახინჯდებოდა. ჯერჯერობით აუცილებელია მტკიცედ შემობრუნება, იმ კილოკავებისა, რაც არსებობდა წინეთ. შემდევ კი დროთავითარების მიხედვით მოხდება ამ მტკიცედ დამყარებულს კილოზე შემუშავებულ იქმნეს ოთხ ხმაზე გაუმჯობესობა გალობისა თუ ამას გარემოება მოითხოვს. დღეს კი მთელი შეგნებული საზოგადოების სურვილია დამყარება და აღდგენა, იმ მტკიცე ნიადაგზე როგორათაც არსებობდა იგი.

თქვენმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ იცის ყველაფერი ეს. საზოგადოება დარწმუნებულია და მეც მათ შორის, რომ თქვენს მეუფებას არავისგან შეხსენება არ სჭირია, თვით თქვენი მეუფება იზრუნებს ჯეროვანათ ამის სისრულეში მოყვანას. მაგრამ პირადათ მე თუ ვახსენებ ამას თქვენს მაღალ ყ-დ უსამღვდელესობას, მხოლოდ იმიტომ რომ მე, როგორც მგალობელი, როგორც მცოდნე ამ საგნისა, ამ განახლების დროს ზნეობრივათ მოვალეო ვთვლი ჩემს თავს, რომ მივიღო კადნიერება, რომ მოგახსენოთ, ის რაც ჩვენი ხალხის სურვილია და რასაც ჩემი გამოცდილებაც მიკარნახებს. ამ საქმეს

ახლავე უნდა დაწყება; დახანება ყ-დ შეუწყნარებელია, რომელიც რა-
საკვირველია დიდს შრომას და ენერგიას თხოულობს.

მრნამს, რომ ამის განხორციელების უკვდავი სურვილი აქვს თვით
თქვენს მეუფებას.

მღვდელი რაჟდენ ხუნდაძე

შაბათი, 14 ოკტომბერი, 1917 წელი

ქ.ც.ა. ფ.21, ს.26368, ფ.1

მისამართი აცტონ ქათათელის ნორილი საქართველოს
რესაუგლიკის მთავრობის თავმჯდომარესადმი თხოვნით
დეკანოზ რ. ხუდეაძისათვის ფინანსურ დახმარებაზე

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების მინის-
ტრმა წასრული 1918წლის 27 ივნისს გამოსცა შემდეგი ბრძანება, რო-
მელშიდაც სწრია: „ქუთაისის მესამე გიმნაზიის გალობის მასწავ-
ლებელს, რაჟდენ ხუნდაძეს ჩატვალის 1883 წლის 15 სექტემბრი-
დან სამსახური“ აქიდან ცხადია, რომ მას მიუცილებლად მიენიჭა მთე-
ლი იმას სამსახურით შექნილი უფლება, როგორც პენსიაზე, ისე ხუ-
თი წლიური დამატებითი ჯამაგირის მიღებით, რომელსაც აქამდი
არ ღებულობდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ყოფილი რუსეთის მთავ-
რობა როგორც ჩვენში გარუსების პოლიტიკის მნარმანებელი, ქარ-
თულ გალობის მასწავლებელს ამა პოლიტიკისათვის მავნედ თვლი-
და, რაისა გამო სამსახურს არ უთვლიდა და არ აძლევდა იმ უფლებებს,
რომლითაც სარგებლობდნენ რუსულ-სლავიანური გალობის მასწავ-
ლებლები. როგორც ზევითაც არის ნათქვამი, ჩვენმა მთავრობამ ძვე-
ლი მთავრობის უსამართლობა გაასწორა, სრულიად კანონიერად
ცნო, აღნიშნულ ხუნდაძესაც ჩათვლოდა მთელი მისი ქართული გა-
ლობის მასწავლებლობა და ამნაირად შეუქმნა მას ის უფლებანი, რო-

მელიც მას ძველი რუსეთის მთავრობიდან ასე აშკარად, უსამართლოდ და ძალმომრეობით ქონდა ახთილი. აქედან ცხადზე უცხადესია, რომ გალობის მასწავლებლმა ხუნდაძემ უნდა მიიღოს მსგავსად ყოველი სხვა უფლებამოსილი მასწავლებლობა, როგორც პენსია თავის დროზე, ისე ხუთი წლიური დამატება რომელსაც დიდი ხნიდან ღებულობდენ სხვა მისი სამსახურით ამხანაგები. ამ უტყუარი მოსაზრების მიხედვით ხსენებული ხუნდაძისათვის აღნიშნული გიმნაზიის მთავრობამ გამოითხოვა წასული დროის ხუთწლიური დამატება 4000 მანეთი. განათლების სამინისტრომ ეს მოთხოვნილება კანონიერად იცნო, მაგრამ სრულიად მოულოდნელად უარი გამოუცხადა იმ ჩვენი მთავრობის საზოგადო დადგენილების ძალით, რომელიც ამბობს, რომ „სანამ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა გამოცხადდებოდა, გაუწმედელი ანგარიშის გასწორება მოეთხოვოს რუსეთის მთავრობასამ“. მაგრამ ეს საზოგადო ხასიათის დებულება ჩვენი მთავრობისა სრულებით არ შეეხება მოხსენებულ ხუნდაძეს, წინააღმდეგ შემთხვევაში სრულიად უმიზნო და უაზრო გამოდის ხუნდაძისადმი ჩვენი მთავრობისაგან წასრულ დროთა სამსახურის ჩათვლა. ხუნდაძეს არავითარი ანგარიშები ყოფილ რუსეთის მთავრობასთან გასასწორებელი არ დარჩენია, რადგან მას სამსახურს მთავრობა არ უთვლიდა. ის რასაც დღეს ხუნდაძე თხოულობს შექმნა მისთვის არა რუსეთის მთავრობამ არამედ ჩვენმა ეხლანდელმა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ და ამიტომ მიუცილებლად ამავე ჩვენი მთავრობისაგან უნდა იქნეს დაკმაყოფილებული და არა არარსებული რუსეთის მთავრობისაგან, რომელიც ხუნდაძეს არასოდეს ანგარიშს არ უწევდა, მითუმეტეს ეს ადვილად დასაკმაყოფილებელია, რომ ხუნდაძემ დღეს ძველებური ნამდვილი 4000 მანეთის მაგიერ უნდა მიიღოს ამა დროის ფული, რომელიც ცხოვრებაში გავა არა უმეტეს 40 მანეთისა, რომლის გადახთა სახელმწიფოსათვის არასოდეს საგრძნობელი არ უნდა იყოს.

მეორეს მხრით აღნიშნული ხუნდაძის მსახურება და ღვანლი სამ-

შობლო ეკლესიისა და ქვეყნის ნინაშე ჩვეულებრივ როდი არის. გა-
მარუსებელმა პოლიტიკამ ჩვენში ისე მოაწყო საქმე ქართული ენისა
და გალობისა, რომ არც ერთი მასნავლებელი ქართულ მგალობელს
აღარ ზრდიდა. ძველი ქართული გალობა გურულ-იმერულ ხმებზე,
სამწუხაროდ ნოტებზე არ გვქონდა გადაღებული და ზეპირად ერ-
თისაგან მეორეზე გადიოდა, რაისა გამო საქმე იქამდი მივიდა, რომ
1883წელში ჩვენი ქართულ-გურულ-იმერული კილოს გალობის შემ-
ნახველი იყო მხოლოდ სამი კაცი, რომელთა რიცხვში უპირველესი
ადგილი ეჭირა რაჟდენ ხუნდაძეს. ამ კაცების გარდაცვლით
კვდებოდა თვით ის ჩვენი ეროვნული დიდება, საეკლესიო გალობაც.
ამ ფრიად სამწუხარო მდგომარეობას ყურადღება მიაქცია ნე-
ტარსხენებულმა საქართველოს პატრიოტმა, ან განსვენებულმა იმე-
რეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა. იმ დროს ხუნდაძე მსახურებდა დი-
აკვნის ხარისხით მარტვილის სობოროში სადაც მან სამსახური და-
იწყო 1871 წელში. თუმცა ხუნდაძეს სამსახური თავისი პირადი სარ-
გებლობისათვის და მომავალი ნინნანევისათვის იქ ერჩია, მაგრამ
გაბრიელ ეპისკოპოსმა იგი ხუნდაძე 1883წელში გამოგლიჯა მარ-
ტვილს და მოიყვანა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში ქართუ-
ლი გალობის მასნავლებლად, რადგან სასწავლებელში გავრცე-
ლებული გალობა მხოლოდ ერთისა და ორი პირის ხელში აღარ იქ-
ნებოდა, არამედ მოეფინებოდა ყველგან. იმხანში ჩამოვიდა იტალიი-
დან კომპოზიტორი ფილიმონ ქორიძე, რომელსაც ხუნდაძის ინიცი-
ატივით იმერეთის სამღვდელოება გაურიგდა ქორიძეს და ხუნდაძემ,
ანტონ დუმბაძემ და დიმიტრი ჭალაგანიძემ ნოტებზე გადააღებიეს
400 ნომერი გალობა. ამნაირად ჩვენ გალობას ჩაედგა უკვდავი სა-
ფუძველი. შემდეგ ხუნდაძე დაინიშნა გალობის მასნავლებლად ქუ-
თაისის სასულიერო სემინარიაში და საეპარქიო ქალთა 8 კლასიან
სასწავლებელში და იმ დროიდან მთელი თავისი არსებობით შეუდგა
ქართული გალობის საქმეს. მას აქეთ მას აღარ უმსახურია არც
მღვდლად, არც რაიმე სხვა საქმეზე, რადგანაც მას მისი მრავალ-

რიცხოვანი ოჯახისათვის შეძლებოდა არსებითი პურის მოპოვება. მარტოდმარტო გალობისათვის დადებულ სრულიად უმნიშვნელო სასყიდლით კმაყოფილდებოდა და ებრძოდა რუსეთის რეჟიმს, რომელიც ჩვენ გალობას სამარისაკენ მიაქანებდა. რადგან ქორიძის ნოტებით სწავლება სასწავლებლებში რთული და საძნელო იყო, იმავე ხუნდაძემ ჩვენი სასწავლებლისათვის შეიმუშავა და დასწერა ნოტებზე უფრო უბრალო, მარტივი კილო ქართული გალობისა, რომელმა ცდა-მაც იქამდი მიიყვანა ჩვენი გალობის საქმე, რომ დღეს ჩვენ ბევრი მცოდნე და მოსურნე გვყავს ქართული გალობისა, რომელთა უმრავ-ლესობა არიან ყოფილი მონაფენი ხუნდაძისა. იმავე ხუნდაძეს ბევ-რი შრომა და ღვანლი მიუზღვის აგრეთვე ქართულ-ეროვნულ სიმ-ღერათა შეგროვება-შემუშავებაში. ხუნდაძე იგი დღეს უკვე მოხუცებულია და იურიდიული თვალსაზრისითაც, რომ არ ერ-გებოდეს მისგან პატიოსანი და ეკლინი გზით დამსახურებული 4000 მანეთი, რომელიც დღეს მხოლოდ წინანდელ 40მ. უდრის მე მგონია ასეთი ამ დროში მცირე თანხა კი არა უფრო მეტიც უნდა აჩუქოს ერთდროულად იმა ხუნდაძეს ჩვენმა ეხლანდელმა საქართველოს მთავრობამ იმა დიდი ქართველური გრძნობისა და ღვანლისათვის, რომელიც ნაჩვენებ ასპარეზზე ეკუთვნის მხოლოდ მარტო ხუნდაძეს, რომ იგი ამ შემთხვევაში სწორედ თითოთ საჩვენებელია. აღწერილ გარემოებათა გამო მე მთელი სამღვდელოებისათვის მოვალეობად ჩავთვლიდი ღირსეულად დაასაჩუქრონ დეკანოზი ხუნდაძე რათა მოხუცების დროს არ განიცდიდეს უკიდურეს ნივთიერ მდგომა-რეობას, მაგრამ სამწუხაროდ ეს შეუძლებელი შეიქმნა, რადგან თვით სამღვდელოება ამ ხანში განიცდის უმწვერვალეს გაჭირვებას სრუ-ლი უსახსრობის გამო.

მოვახსენებ რა აღწერილ გარემოებათა საქართველოს რესპუბლი-კის მთავრობას, უმორჩილესად ვთხოვ, რათა დაკმაყოფილდეს სრუ-ლიად სამართლიანი თხოვნა ქუთაისის მესამე გიმნაზიის ქართული გალობის მასწავლებლის, დეკანოზის, რაჟდენ ხუნდაძის შესახებ ერ-

თდროული ხუთნლიური 4000 მანეთისა, რომელიც მას მიეცეს ან იუ-
რიდიული თვალსაზრისით, როგორც მისგან დამსახურებული ან ერ-
თდროულ ჯილდოდ იმა დიდი არაჩვეულებრივი ღვანლისათვის ნიშ-
ნად მაღლობისა.

ქ.ც.ს.ა. ფ.21, ს.27788, ფ.1-4

**ქუთათელი მიტროპლიტის ყოფილი გუნდის გამგეობის
განცხადება ანტონ ქუთათელისადმი გუნდის მოღვაწეობაზე და
კონცერტების გამართვის ნაბართვაზე**

1918წ 29ივლ

მის მაღალ ყ-დ უსამღვდელოესობას იმერეთის
მიტროპოლიტ ანტონ ქუთათელს

ქუთათელი მიტროპოლიტის ყოფილი გუნდის
გამგეობის

განცხადება

გუნდის გამგეობას პატივი აქვს მოახსენოს თქვენ ყ-დ მაღალ უსამ-
ღვდელოესობას შემდეგი:

გუნდი, რომლის შემადგენლობა შეიცავს ოცდახუთ კაცს დას-
თანხმდა რა წარსულ წლის ოქტომბრიდან ეგალობნა სამიტროპო-
ლიტო ტაძარში, მოზნად დაისახა გაემშვენიერებია ქართული საეკ-
ლესიო საგალობლები და გაევრცელებია რამდენათ შესაძლებელი
იქნებოდა ხალხში.

ყველამ კარგად უწყის, თუ როგორ სდევნიდა ძველი მთავრობა
ყოველივე ჩვენ ნაწარმოებს, რომელი დარგისაც უნდა ყოფილიყო
მუსიკის თუ ლიტერატურის; ეს გარემოება უათკეცებდა გუნდის გამ-
გეობას სურვილს და ენერგიას, თავისუფლების გამოცხადების შემ-
დეგ გაევრცელებინა და შეესწავლა მშობლიური საეკლესიო და საე-
რო სიმღერები თუ მივიღებთ მხედველობაში იმ მოკლე დროს და
აგრეთვე მძიმე პირობებს, რომელ პირობებშიაც გუნდს უხდებოდა

მუშაობა, თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მან ოდნავად მაინც მი-აღწია დასახულ მიზანს:

შეისწავლა მთელი რიგი ახალი საეკლესიო საგალობლებისა და-ნერილი გუნდის გამგეობის თხოვნით კომპ.ფოცხვერაშვილისაგან, მუსიკოსების მაღრაძისა და შარაბიძებისაგან. გუნდი ასრულებდა ამ საგალობლებს წირვაში და ლოცვაში. იმდენად კარგათ, რომ ჩვენ ლოტბარს არა ერთხელ და ორჯელ მიუღია მადლობა თქვენ მაღალ ყ-დ უსამღვდელოესობისაგან და აგრეთვე სხვა ბევრ პირებისაგა-ნაც. თვით კომპ. ფოცხვერაშვილიც, როცა დაესწრო გუნდის ვარჯიშობას, აღტაცებაში მოვიდა მისი მუშაობით და დიდი სურვი-ლით საზოგადოებას ემსახურონ გუნდში შედიან პატარა ბავშვები, რომელთაც შეისწავლეს რა ნოტების კითხვა და ქართული საეკლე-სიო-საერო სიმღერები სმენა გაუწვითარდათ, შეუყვარდათ მშობლი-ური მუსიკა და მომავალში უნდა ვიფიქროთ თვით შეუწყობენ ხელს საგალობლების ხალხში გავრცელებას.

გუნდის გამგეობამ გაუგზავნა ოთხ ხმაზე შეხმატებილებული სა-სულიერო-საერო სიმღერები ლოტბარებს პროვინციებში ხალხში გა-სავრცელებლად.

ამ მუშაობისთვის გუნდს თითქმის არავითარი დახმარება არ მიუ-ღია, პირიქით, მან მხოლოთ ზარალი ნახა მატერიალურის მხრივ.

იმ თანხიდან, რომელიც გადადებული იყო სამიტროპოლიტო ტაძრის მიერ მგალობლებს ხვდებოდათ ჯილდოთ ხუთი მანეთიდან ოც მანეთამდე თვითეულს თვეში; ასეთი მცირე ჯამაგირისთვის ჩვენ მგალობლებს უნდა გვეარა ვარჯიშობაზე თვეში რვაჯელ და წირვა-ლოცვაზე ამდენჯელვე (თუ თვეში ერთჯელაც არ გამოერეოდა სხვა რამე უქმე). თუ მხედველობაში მიიღებთ იმ გარემოებას, რომ ფეხსაც-მელები ოთხას მანეთიდან ხუთას მანეთამდე ფასობს, დამეთანხმებით, რომ სალორიდან გორაზე კაცი თექვსმეტჯელ არ ამოვა ოცი მანე-თისთვის, თუ მას სხვა რამე მაღალი მისწრაფებები არ ამოქმედებს. გამგეობას დიდი ჯაფა სჭირდებოდა რომ ბავშვები გაეჩერებინა გუნ-დში; ხშირად დედ-მამა ბავშვებს არ აძლევდა ნებას გუნდში ევლოთ

ვინაიდან ბავშვები სულ უკანასკნელ ოცი მანეთის ფეხსაცმელებს გლეჯდენ თვეში ვარჯიშობაზე და წირვა-ლოცვებზე სიარულით: ჯილდოთ კი ამის საღირალს ვერას იღებდენ და თუ იღებდნენ იმა-საც თავის დროზე ვერ ღებულობდენ. უკანასკნელი ორი თვის ჯამა-გირი დღესაც არა აქვთ გუნდ მიღებული რის გამო გამგეობა იძულებული იყო თავის ჯიბიდან დაეკმაყოფილებინა ბავშვები.

ყოველივე ზემოხსენებული ნათლად მოწმობს, რომ გუნდის შე-მადგენლობა, განსაკუთრებით შეგნებული მისი ნაწილი არ იყო და-ინტერესებული მატერიალურის მხრივ. მას ამოქმედებდა იდეური მხარე ინტერესი და სიყვარული მშობლიური მუსიკისა.

დასამტკიცებლად იმისა, რომ ჩვენ უფრო მაღალი ინტერესები გვამოძრავებს ჩვენ შეგვიძლია უფრო თვალ საჩინო მაგალითი მო-ვიყვანოთ:

ადგილობრივმა სამხედრო სამკურნალოს ეკლესიამ უფრო წინა-დადება მისცა ჩვენ გუნდს ეგალობნა მასთან სამჯელ მეტ ფაში რა-საც იძლევა სამიტროპოლიტო ტაძარი.

ჩვენი გუნდი კი არ დასთანხმდა ვინაიდან მას სურს ემსახუროს საზოგადოებას, საზოგადოება კი უფრო სამიტროპოლიტო ტაძარს ეტანება ვიდრე სამხედროს.

ჩვენ სობოროს გარეთაც განვაგრძობთ საზოგადოებაში სამ-სახურს ჩვენ არ გვინდა ჩვენი მოქმედება სამიტროპოლიტო ტაძარ-ში მსახურობით შემოვფარგლოთ და ამიტომ გუნდის გამგეობამ გა-დასწყიტა გამართოს სასულიერო და საერო კონცერტები ჩვენი ქვეყ-ნის მიდამო კუთხეებში, რისთვისაც სოხოვს მის მაღალ ყ-დ უსამ-ლვდელოესობას ლოცვა კურთხევას;

გამგეობის წევრნი: ... ხანთაძე

... გავაშელიშვილი.

ივ. ჯაში

დ. ყუბანევიშვილი

ტ. კუხიანიძე

ქ.ც.ს.ა. ფ.21, ს.27016, ფ.2-4

ძუთაისის სამარარქიო საბჭოს სხდომის ოქმი ძუთაისის
მიტროპოლიტის ყოფილ მგალოგელთა გუნდის განცხადების
განხილვაზე, სასულიერო და საერო კონცერტების გამართვის
ნებართვაზე

1918 წელსა ივლისის 29 დღესა ქუთაისის საეპარქიო საბჭომ მისი მეუფების მიტროპოლიტის ანტონ ქუთათელის თავჯდომა-
რეობით, წევრების: თეოფილე ხუსკივაძის, სიმონ ამირეჯიბის, სამ-
სონ ყიფანის, დეკ. ივლიანე აბესაძის და დეკანოზ თომა დუგლაძის
მონაწილეობით და მდივნის ერასტი თუთბერიძის თანდასწრებით.

მოისმინა

მიტროპოლიტის ანტონ ქუთათელის მოხსენებითი საქმე ქუთაი-
სის მიტროპოლიტის ყოფილ მგალობელთა გუნდის განცხადების გა-
მო შესახებ სასულიერო და საერო კონცერტების ნებადართვისა

დაადგინა:

უარი გამოეცხადოს მთხოვნელებს, რადგან როგორც თვით უწო-
დებენ თავის თავს, ისინი მიტროპოლიტის მგალობელთა გუნდს აღარ
ეკუთვნიან, სრულად ნება დაურთველად გაკრული ქონიათ აღნიშ-
ნულ კონცერტებზე განცხადება წინა რიცხვით ნების დაწერა კი არ
შეიძლება. არსებული საბჭო წინააღმდეგია სასულიერო კონცერ-
ტების გამართვისა ვანსკვენებული საქართველოს კათალიკოზის ორ-
მოცის გადახდამდის და აფიშებში მიტროპოლიტის სახელის ხსენება
დაუკითხავათ და ნებადაურთველად საეპარქიო საბჭოსი და მიტრო-
პოლიტისა, მით უმეტეს, რომ მთხოვნელები დღეს მიტროპოლიტის
მგალობელთა გუნდს აღარ წარმოადგენენ, როგორც ამას თვით აღ-
ნიშნავენ თავის განცხადებაში.

თავჯდომარე მიტროპოლიტი ანტონ ქუთათელი

დეკ. ივლ. აბესაძე

ქ.ც.ს.ა. ფ.21, ს.27016, ფ.5

**თავად დ. ნიშარბის წერილი მიტროპოლიტ ნაზარ
ქუთათელისაღი ქართული საეკლესიო გალობის აღსაფგნად
დახმარებაზე**

თქვენი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობავ!

წმინდას მარჯვენას გეანბორებით მოხვენელი თქვენის ლოცვა
კურთხევისა. მაპატიეთ მეუფეო, რომ ავათმყოფობის გამო ვერ ვა-
სურულებ თქვენს ბრძანებას თქვენთან ხლებისას. რაიცა შეეხება
თვით საგანს რომელიც ექვემდებარებოდა დღევანდელს სხდომის
მსჯელობას, მზათ გახლავარო, როცა და ვისაც მიბრძანებთ გარდავ-
სცე ჩემი მწვლილი და სხვა ჩემს ნაცნობებშიდაც მივიღო ყოველი
ზომა დაეხმარონ, მგალობელთა გუნდის სასურველ ნიადაგზე დაყე-
ნებას.

თქვენი უმორჩილესი მონა მოსამსახურე
დავით ნიუარაძე

20 თებერვალი 1919 წლის

ქ. ც. ა. ფ. 21, ს. 274451, ფ. 3

**ქუთაისის მორმაზუნითა საზოგადოების კრების დადგენილება
დასავლეთ საქართველოს მორმაზუნითა საზოგადოების (წრის)
შექმნის შესახებ**

1919 წელსა თებერვალის 20 დღესა მისი მაღალმეუფების მიტრო-
პოლიტის ნაზარი ქუთათელის მონოდებით შეკრებილმა მორწმუნე-
თა საზოგადოებამ, იქონია რა მსჯელობა საქართველოს ეკლესიის
გალობის გაუმჯობესების შესახებ და მიიღო რა მხედველობაში დი-
დი მნიშვნელობა საეკლესიო გალობისა ქრისტიანული სარწმუნოების
აღსაღორძინებლად დაადგინა: შედგეს დასავლეთ საქართველოს მორ-
წმუნეთა საზოგადოება (წრე) ქვემორე ამისა ხელის მომწერ პირთა-

გან, რომელთაც აირჩიეს გამგეობა, რომელშიდაც დაინიშნენ: ფილიპე მგალობლიშვილი, ვლადიმერ წერეთელი, ნოშრევან ხარაძე, ტროფიმე ბასილაძე, პლატონ ცქიტიშვილი, ივანე კუჭუხიძე, ალექსანდრე გიგინეიშვილი, დავით ჭიჭინაძე, დიმიტრი ბახტაძე, მიხეილ ჭავჭანიძე, იერონიმე არსენიშვილი, რომელთა შორის ხმის უმეტესობით არჩეულ იქმნა იერონიმე მიხაილის ძე არსენიშვილი თავჯდომარეთ.

ქ.ც.ა. ფ.21, ს.27451, ფ.13

ქუთაისის საეპარქიო საგზოს დადგენილება ქუთაისში საეპლესიო გალოგის მოყვარულთა რის შექმნაზე და მის სახელმძღვანელოდ კომიტეტის დანიშვნაზე

1919 წელსა ოქტომბრის 30 დღესა ქუთაისის საეპარქიო საბჭომ მისი მაღალმეუფების მიტროპოლიტის ნაზარი ქუთათლის თავჯდომარეობით, წევრების: დეკანოზის გაბრიელ ცაგარეიშვილის, დეკანოზის თომა დუგლაძის და სიმონ ყიფინის მონაწილეობით და მდივნის ერასტი თუთბერიძის თანდასწრებით

მოისმინა

მისი მაღალმეუფების მიტროპოლიტის ნაზარი ქუთათლის მოხსენებით საქმის შესახებ ქართული გალობის მდგომარეობისა საკათედრო ტაძარში და საზოგადოდ ქუთაისის ეპარქიაში და მიიღო რა მხედველობაში რომ საეკლესიო გალობა საზოგადოდ ამა ეპარქიაში და კერძოთ საკრებულო ტაძარში სრულიად დაკრინებულია, რის გამო იგი იმდენად სამწუხარო მდგომარეობაშია, რომ მას მლოცველთა სულიერი კმაყოფილების მაგიერ ღვთისმსახურებაში შეაქვს დისონანსი და რომ ამ მდგომარეობაში მყოფ საეკლესიო გალობის აღდგენა-განახლება შეადგენს ყოველი ჩვენი ქვეყნის და ეკლესიის მოყვარეთა უწმიდეს მოვალეობას.

დაადგინა:

დაარსდეს საეკლესიო გალობის მოყვარულთა წრე, რომლის მოწვევისათვის, წესდების შემუშავებისათვის და საზოგადოდ ამ საქმის მოწესრიგებისათვის დაინიშნოს კომიტეტი დეკანოზების ვასილ დოლაბერიძისაგან, ივლიანე აბესაძისაგან და პლატონ ცქიტიშვილისაგან, რომელთაც დაევალოს სიჩქარით შეუდგნენ ამა მინდობილების შესრულებას. ამათში თავჯდომარედ იქნება საკათედრო ტაძრის დეკანზი ვასილ დოლაბერიძე.

ქ.ც.ს.ა. ფ.21, ს.27997, ფ.1

ქართული გალოგის მოყვარულთა წრის მომთხოვი კომიტეტის თავმჯდომარის დეკ. 3. დოლაბერიძის მოსესეგა ქუთათელ მიტროპოლიტ ნაზარისადგი კომიტეტის წესდეგის დამტკიცებაზე და გამგეობის თავმჯდომარედ დ. ნიზარაძის არჩევაზე, ნაზარ ქუთათელის რეზოლუციით

1919წ 11 დეკ. დღესვე განიხილოს საბჭომ გ.ნ.

მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას,
ქუთათელი მიტროპოლიტს ნაზარის
ქართული გალობის მოყვარულთა წრის
მომწყობი კომიტეტის თავჯდომარისაგან
მოხსენება

თანახმად იმერეთის საეპარქიო საბჭოს დადგენილებისა და მოწერილობისა ამა 1919წ. 31 ოქტომბრიდან №3812 ქვეშ, ნარმოვადგენ რა ამასთანავე ქართული გალობის მოყვარულთა წრის წესდებას, მაქვს პატივი მოვახსენო თქვენს მაღალყოვლადუსამღვდელოესობას, რომ კომიტეტმა 7-ს ამა დეკემბერს მოიწვია საზოგადო კრება ქართული გალობის მოყვარულთა წრის შესაძგენათ. კრებამ განიხილა და დაამტკიცა წესდება, აირჩია გამგეობა ბ. დავით ოტიას ძე

ნიუარაძის თავჯდომარეობით და დაავალა მას ამ საქმის გაძლოლა
და მოგვარება.

დეკ.ვ. დოლაბერიძე

10 დეკემბერი 1919წ.

ქ.ც.ს.ა. ფ.21, ს.27997, ფ.3

ქუთაისის საეპარქიო საბჭოს სხდომის ოქმი ქართული გალობის მოყვარულთა წრის წესდების მიღებაზე

1919 წელსა დეკემბრის 11 დღესა ქუთაისის საეპარქიო საბჭომ
ქვემორე ამა უურნალზე ხელის მომწერთა შემადგენლობით

მოისმინა

ქართულ გალობის მოყვარულთა წრის წესდება.

ცნობა — ინიციატივა ამა საქმისა ეკუთვნის ქუთაისის საეპარქიო
საბჭოს და უმეტესად მის თავჯდომარეს მაღალმეუფე ნაზარი ქუთა-
თელ მიტროპოლიტს, რომლის განზრახვა იყო, რომ სანიმუშო მგა-
ლობელთა გუნდს ეგალობა ქუთაისის საკათედრო ტაძარში, რომე-
ლიც ითვლება მთელი ეპარქიისათვის საერთო საზოგადო ეკლესი-
ად.

საეპარქიო საბჭოს მუდმივი თავჯდომარე დეკ. გ.ცაგარეიშვილი
მდივანი ერ. თუთბერიძე.

დაადგინა

აღნიშნული წესდება მიღებულ იქმნეს მით, რომ სანიმუშო გუნ-
დი ყოველთვის გალობდეს საკათედრო ტაძარში, როგორც მთელი
ეპარქიისათვის საერთო საზოგადო ხასიათის ეკლესიაში

თავჯდომარე, მიტროპ. ნაზარი.

ნევრები: დეპ. გ. ცაგარეიშვილი
ტ. ჯაფარიძე
ს. ყიფიანი
ი. არსენიშვილი
დეპ. თ. დუგლაძე
ქ.გ.ს.ა. ფ.21, ს.27997, ფ.4

ქართული გალობის აღმდგენელი საზოგადოების გამგეობის
მიმართვა მიწროაოლიტ ნაზარი ქუთათელისადმი, გამგეობის
მიერ გალობის შემსრულებლი კურსების დაარსებაზე

ქართული გალობის აღმადგენელი
საზოგადოების გამგეობა მის მაღალმეუფებას
4 თებერვალი 1920წ. ქუთათელ მიტროპოლიტს
№1 ნაზარს
ქ. ქუთაისი

მაქვს პატივი მოვახსენო თქვენს მაღალმეუფებას ამოწერილობა
ქართული გალობის აღმადგენელი საზოგადოების გამგეობის
1919წ.30დეკემბრის სხდომის №3 ოქმიდან თქვენი მაღალმეუფების
მიერ განკარგულების მოსახდენათ

„1919წელსა, დეკემბრის 30 დღესა, დეპ. პლ. ცქიტიშვილის
თავჯდომარეობით მოხდა კრება გამგეობისა ,რომელზედაც მან
მიიღო კურსების დაარსება 20 იანვრიდან 1920 წლიდან,რაიცა
